28.04.2022 წ.

საქართველოს გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის სამინისტროს

მოგესალმებით,

გაცნობებთ, რომ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფელ გორაბერეჟოულის ტერიტორიაზე, ბათუმი-ჩოხატაურის ავტომაგისტრალის 77-ე კილომეტრზე არსებულ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ფართობზე, (GPS კოორდინატები: X-267550,98; Y-4655318,32) შპს ,,დიჯიელი''-მა (ს/კოდი 412761792), ნასყიდობის უფლებებით შპს ,,ბლექსი სტოუნი''–სგან შეიძინა და ექსპლოატაციაში გაუშვა ქვა-ღორღის გადამამუშავებელი საწარმო.

მოცემულ ტერიტორიაზე, ქვა-ღორღის გადამამუშავებელი საწარმოს განთავსების მიზნით, შპს ,,ბლექსი სტოუნმა'' თავის დროზე მოამზადა და წარუდგინა გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს საწარმოს ექსპლოატაციის სკრინინგის ანგარიში, რის საფუძველზეც მინისტრის 2021 წლის 18 ოქტომბრის N2–1465 ბრძანების, ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში, სოფ. გორაბეჟოულის მიმდებარე ტერიტორიაზე შპს ,,ბლექსი სტოუნი''–ს ქვიშა–ხრეშის (სასარგებლო წიაღისეული) გადამამუშავებელი საწარმოს მოწყობისა და ეწქსპლოატაციის სკრინინგის გადაწყვეტილების შესახებ'', თანახმად ხსენებული საწარმოს მოწყობა და ექსპლოატაცია **არ დაექვემდებარა** გარემოზე ზემოქმედების შეფასებას, (ბრძანება N2–1465 თანდართულია), რის საფუძველზეც უფლება მიეცა ზემოთხსენებულ კომპანიას დაემონტაჟა და ექსპლოატაციაში გაეშვა ქვა–ღორღის გადამამუშავებელი საწარმო, აუცილებელი გარემოსდაცვითი ტექნიკური რეგლამენტებით დადგენილი მოთხოვნებების შესრულების შემდეგ, რაც განახორციელა კომპანიამ ნაწილობრივ, კერძოდ, დაამონტაჟა ქვა–ღორღის გადამამუშავებელი საწარმო, მაგრამ ექსპლოატაციაში ვერ გაუშვა გარკვეული მიზეზების გამო და მოახდინა მისი გასხვისება შპს ,,დიჯიელი''–ზე.

კომპანია ,,დიჯიელი''–მ თავის მხვრივ მოახდინა გარკვეული სახის ცვლილებები და რეორგანიზაცია საწარმოს მუშაობაში, კერძოდ:

–შეიცვალა საწარმოო დანიშნულებით მდინარე სუფსიდან წყალაღების ადგილი;

–შეიცვალა ასევე საწარმოო ჩამდინარე წყლების წყალჩაშვების ადგილი;

–შეიცვალა გამწმენდი სალექარების განთავსების ტერიტორიები;

–შეიცვალა ტერიტორიები, როგორც ნედლეულის, ასევე მზა პროდუქციის განთავსებისა;

ამასთანავე, მოხდა გარკვეული სახის ცვლილებები სამსხვრეველას თვით მუშაობაშიც, კერძოდ:

–შემცირდა გარკვეულწილად (50%–თ) საწარმოს წარმადობა;

–შემცირდა გამოშვებული პროდუქციის სახეობები და რაოდენობა, შესაბამისად

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
№ 10988
03.05.2022
02

შემცირდა ჰაერდამაბინძურებელი წყაროების რაოდენობა და აქედან გამომდინარე, შემცირდა ატმოსფეროში გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა რაოდენობა.

გამომდინარე ზემოთხსენებულიდან, და საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის" მე–7 მუხლის მე–4 ნაწილის შესაბამისად განსახილველად წარმოგიდგენთ ამ საწარმოს ექსპლოატაციის სკრინინგის ანგარიშს

თანდართულია:

1. საწარმოს ექსპლოატაციის სკრინინგის ანგარიში – 1 ეკზ;
2. ნაშრომის ელექტრონული ვერსია (CD-ფირფიტა) – 1 ცალი

პატივისცემით,

ლაშა ბუტკარაძე

შპს „დიჯიელი"-ს დირექტორი